



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302532324  
თარიღი: 19/11/2025

ადრესატი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
მისამართი: ქ.თბილისი

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 7 ნოემბრის N253274 წერილი (თანდართული დოკუმენტაციით) - ქ. ლანჩხუთში, საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის, (შესახვევებისათვის) სახელწოდებების განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, შემდგომი რეაგირების მიზნით, გიგზავნით ზემოაღნიშნულ ინიციატივას, ვინაიდან „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების თანახმად, აღნიშნულ საკითზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302531020  
თარიღი: 06/11/2025

ადრესატი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ს ს ი ბ ს ა ჯ ა რ ო რ ე გ ს ტ რ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ს ა ა გ ე ნ ტ ო ს**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი მ/წლის 29 ოქტომბრის 245703 მომართვის პასუხად, გაცნობებთ რომ ქ. ლანჩხუთში მერის წარმომადგენლის ინფორმაციით, თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთი სახელდებული არ არის. მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის პოზიციით, მიწის ნაკვეთი ს/კ 27.06.50.338 მდებარეობს ქუჩაზე, რომელიც წარმოადგენს საფო მგელაძის ქუჩის ერთ-ერთ შესახვევს.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





## სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

07 / ნოემბერი / 2025 წ.



KA011762568511525

№ 253274

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში "სააგენტოს") წარედგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 6 ნოემბრის № 30-302531020 მომართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი 294149/17), რომლის თანახმად ქალაქ ლანჩხუთში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 27.06.50.338) მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი სახელდებული არ არის. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინსფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის პოზიციით კი, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქუჩაზე, რომელიც წარმოადგენს საფო მგელაძის ქუჩის ერთ-ერთ შესახვევს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, შესახვევი, ჩიხი, მოედანი, და სხვ.) სახელდებაზე უფლებამოსილ ორგანოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო ამ ქუჩების მიმდებარედ განთავსებული უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებაზე უფლებამოსილ ორგანოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს, რომელიც ამავდროულად სამისამართო რეესტრს აწარმოებს.

ამასთან, ქალაქ ლანჩხუთში მდებარე საფო მგელაძის ქუჩის ქსელური გავრცელების არეალის და მასზე თანდართული სამისამართო ობიექტებისთვის სისტემური ნუმერაციის მოწესრიგების მიზნით, ასევე აღნიშნული არეალის სახელდებული ქუჩების სრულად დასაფარად, დანართების სახით გიგზავნიტ ინიციატივას, რომლითაც შესაძლებელია საფო მგელაძის ქუჩისა და მასზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისთვის) სახელწოდებების განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად, გთხოვთ, განიხილოთ თანდართული სიტუაციური რუკა და:

- იმ შემთხვევაში თუ დანართზე ასახული მონაცემები კორექტულია, გამოსცეთ შესაბამისი საკანონმდებლო აქტი;
- იმ შემთხვევაში კი თუ დანართზე ასახული მონაცემები საჭიროებენ კორექტირებას, მიგვითითოთ დასაკორექტირებელი არეალი;


მუნიციპალიტეტის მიერ გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განკარგულების გამოცემისთანავე სააგენტო უზრუნველყოფს სამისამართო ობიექტებისთვის (შენობა-ნაგებობა/მიწის ნაკვეთი) ნუმერაციის მინიჭებას და ინდივიდუალური მისამართების განსაზღვრას, რაც მოქალაქეთა

მომსახურების შეფერხების აღმოფხვრისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ინფორმაცია კი მარტივად ხელმისაწვდომი იქნება სააგენტოს ინტერაქტიური რუკის მეშვეობით, <https://maps.gov.ge/>.

დანართი: 1 (ერთი) \*.pdf ფაილი, 1 (ერთი) \*.xlsx ფაილი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად 

გიორგი ტაბატაძე

#	ადმინისტრაციული ერთეული	დასახლების სტატუსი	დასახლების დასახელება
1	ლანჩხუთი	ქალაქი	ლანჩხუთი
2	ლანჩხუთი	ქალაქი	ლანჩხუთი
3	ლანჩხუთი	ქალაქი	ლანჩხუთი
4	ლანჩხუთი	ქალაქი	ლანჩხუთი

გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება  
(სახელობით ბრუნვაში)

ქუჩა:საფო მგელაძე

შესახვევი:საფო მგელაძის I

შესახვევი:საფო მგელაძის II

შესახვევი:საფო მგელაძის III

გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება  
(ნათესაობით ბრუნვაში)

საფო მგელაძის ქუჩა

საფო მგელაძის I შესახვევი

საფო მგელაძის II შესახვევი

საფო მგელაძის III შესახვევი

**შენიშვნა**

დაკორექტირდა ქუჩის მოხაზულობა

დამატება, ყოფილი საფო მგელაძის ქუჩის მონაკვეთი

დამატება

დამატება

